

ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების კათედრის მონაცემთა ბაზა

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების კათედრაზე არსებული ფონოფონდი ერთ-ერთი უძველესი და უმდიდრესი საცავია საქართველოში. მასში თავმოყრილია რამდენიმე თაობის ფოლკლორისტთა მიერ შეკრებილი ქართული, კავკასიური და საქართველოში მცხოვრები სხვა ერების ხალხური შემოქმედების ნიმუშები.

საფონდო მასალის უმეტესობა დაბალი მახასიათებლების მქონე მაგნიტურ ფირებზე იყო ჩანერილი. კატალოგიზაციის უმარტივესი ფორმა პრაქტიკულად შეუძლებელს ხდიდა ჩანანერთა ერთიან ფონდში სისტემური ანალიზისათვის საჭირო მასალის მოძიებას. საველე-შემკრებლობითი მუშაობის დროს ჩანერილი ნიმუშის შესაბამის დავთრებში აღნუსხვა-ფიქსაცია ხდებოდა შემდეგი მახასიათებლების მიხედვით:

1. ჩანანერის ნომერი,
2. ნიმუშის სახელწოდება,
3. შემსრულებელი,
4. ჩამწერი,
5. თარიღი,
6. სადაურობა,
7. ჩანერის ადგილი,
8. შენიშვნა.

ყოველივე ზემოაღნიშნულს ემატებოდა შენახვის არასახარბიელო პირობები, რაც აუცილებელს ხდიდა, ფონდის დაცვის მიზნით განხორციელებულიყო გარკვეული ცვლილებები.

ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯები გადაიდგა 1997 წლის შემოდგომაზე, როდესაც ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ ფინანსური ხელშეწყობით დაიწყო განადგურების საფრთხის წინაშე მდგარი ფონოჩანანერების ციფრულ მატარებლებზე გადატანა და მათი სისტემატიზაცია კონტექსტური მახასიათებლების მიხედვით. ამ მიზნით გამოყენებული იქნა პროგრამისტ რატი სხირტლაძისა და ფილოლოგ ელგუჯა დადუნაშვილის თანაავტორობით შექმნილი ფოლკლორული საარქივო მასალების სისტემატიზაციის კომპიუტერული პროგრამა, რომელიც მანამდე უკვე აპრობირებული იყო შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის არქივში.

კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების კათედრის გამგესთან, ან გარდაცვლილ ბატონ კუკური ჭოხონელიძესთან და, ასევე, კათედრის მეცნიერ-თანამშრომლებთან კონსულტაციების საფუძველზე გადამწყდა, რომ მოცემულ ეტაპზე მასალა სისტემატიზებული ყოფილიყო შემდეგი მახასიათებლების შესაბამისად:

1. ახალი შიფრი,
2. ძველი შიფრი,
3. სახელწოდება,
4. დიალექტი,
5. ეროვნულობა,

6. ჩამწერი,
7. ჩანერის თარიღი,
8. ფონდის სადაურობა,
9. აუთენტიკური/მეორადი,
10. საკრავი,
11. მუსიკის სახე,
12. შემადგენლობა,
13. შესრულების ფორმა,
14. შემსრულებელის ვინაობა,
15. საშემსრულებლო კოლექტივის ხელმძღვანელი,
16. შემსრულებელთა ასაკობრივ-სქესობრივი მახასიათებელი,
17. რეპერტუარის ასაკობრივ-სქესობრივი მახასიათებელი,
18. 19. 20. ჩანერის ადგილი,
21. ჟანრი,
22. ხმათა რაოდენობა,
23. ქრონომეტრაჟი,
24. შენიშვნა.

თვალსაჩინოებისათვის წარმოგიდგენთ ფოტო და ვიდეო მასალას.

აღნიშნული პროგრამა ისახავდა მოცემულ ეტაპზე არსებული გამოცდილების გამოყენებას და მეცნიერული კვლევების შედეგების ფიქსირებას. ეს პროცესი გრძელდება და დაგროვილი ინფორმაცია დღის წესრიგში აყენებს მონაცემთა ბაზის მოდერნიზაციის აუცილებლობას.

მონაცემთა ბაზა უნდა ითვალისწინებდეს:

1. მონაცემთა ბაზის ველებში არსებული ინფორმაციის სრულად, დანაკარგის გარეშე, განთავსებას;
2. მომხმარებლის მიერ მაქსიმალური ინფორმაციის მოპოვებას დროის მინიმალური დანახარჯით (ველების მახასიათებლების გამიჯვნა, სახელწოდებების დაზუსტება, ტერმინების მისადაგება არსთან);
3. მონაცემთა ბაზის სისტემატური დახვეწა-განვითარების შესაძლებლობას ტექნიკური უზრუნველყოფისა და ინტენსიფიკაციის პირობებში;
4. ინტელექტუალური ბაზის შექმნას (მასალების შეფასებისას ექსპერტთა შიდა წონითი კატეგორიების ავტომატურად ასლის გადაღება მათ მიერ დახარისხებული ნიმუშების ანალიზზე დაყრდნობით);
5. საერთაშორისო საინფორმაციო ბაზებთან ინტეგრირებას.

2003 წელს იუნესკოს მხარდაჭერით კათედრის ბაზაზე დაფუძნდა უახლესი კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი მრავალხმიანობის კვლევის ცენტრი და შესაძლებელი გახდა მნიშვნელოვანი ინტელექტუალური რესურსების აღნიშნული მიმართულებით მობილიზება. ცენტრის დირექტორის, ქალბატონ რუსუდან წურწუმის თაოსნობით დაიწყო ინტენსიური მუშაობა მონაცემთა ბაზის სტრუქტურის მოდერნიზაციის პროგრამაზე.

ძირითადი მიზანია მუსიკალური მახასიათებლების მიხედვით სისტემატიზაციის პრინციპების განსაზღვრა და კლასიფიკატორთა ახალი, მაქსიმალურად ინფორმაციული სისტემის ჩამოყალიბება. დაისახა სამუშაო გეგმა, რომელიც გულისხმობს კილო-ჰარმონიის, მელოდიკის, მეტრის, პოლიფონიის, ფორმისა და შესრულების მანერის განმსაზღვრელ თავისებურებათა დეფინიციის საკითხების გადანყვეტას.

ხალხური შემოქმედების ნიმუშთა მოპოვება-ფიქსირებასთან ერთად, სასურველია განხორციელდეს დაგროვილი გამოცდილების დოკუმენტირება, რაც ინფორმაციის სისტემატიზაციის შემთხვევაში მოგვცემს ისეთ სტატისტიკურ მონაცემებს, რომელთა მეშვეობითაც მოხერხდება თანამედროვე კვლევის „ინსტრუმენტარიუმის“ გამდიდრება. წარმოგიდგინთ მაგალითს ვიდეომასალის სახით, სადაც ბატონი ანზორ ერქომაიშვილი საუბრობს ერთ-ერთი სამხმიანი გურული სიმღერის შესრულების დროს მომღერლების მიერ სიტყვიერი ტექსტის ასემანტიკური სიტყვებით გამრავალფეროვნების შესახებ.

პრობლემა მდგომარეობს მეთოდის შემუშავებაში, რაც გულისხმობს მსგავსი მასალიდან ინფორმაციის დაქვემდებარებას კონკრეტულ მონაცემთა ბაზაზე. მაგალითად, აღნიშნული იძლევა ინფორმაციას მელოდიკის ვარიანტულობის ერთ-ერთ მახასიათებელზე, როგორცაა ასემანტიკური სიტყვები.

აგრეთვე სასურველია გათვალისწინებული იქნას მოთხოვნები, რათა მოხდეს მონაცემთა ბაზის გაფართოება. მაგალითად: სიხშირის მაჩვენებელი ჰერცებში; გაბატონებული ბგერები; გაბატონებულ ბგერებს შორის დიაპაზონი ჰერცებში; ჰორიზონტალური და ვერტიკალური ხაზების სიხშირეების ნუსხა და ა.შ.

ვფიქრობთ, კრიტიკული საუბარი ჩვენ მიერ აქ წარმოდგენილი საკლასიფიკაციო სქემის გარშემო მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს როგორც მის შემდგომ დახვეწა-განვითარებას, ისე საერთაშორისო საკლასიფიკაციო სისტემის ჩამოყალიბებას.